განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 11 ნოემბერი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 13 დეკემბერი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი დემოგრაფიაში 0314
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა ნადარეიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა არეშიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რეგიონალური კვლევების ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა ჩიტაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გია თოდუა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია დემოგრაფიის როლისა და მნიშვნელობის ჩამოყალიბება, დემოგრაფიული მეცნიერებების ძირითადი ცნებების, კატეგორიების, კანონების, დებულებებისა და თეორიების გაცნობა, მიგრაციული პროცესების ანალიზის შესწავლა და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც საჭიროა მიღებული ცოდნის გამოყენებისათვის სამეცნიერო საქმიანობასა და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის პროცესში.

სამაგისტრო პროგრამა „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ ფუნქციონირებს მსოფლიოს მრავალ წამყვან უმაღლეს სასწავლებელში, თუმცა საქართველოს სინამდვილეში იგი უნიკალურია და ქვეყნის სხვა არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ არის დანერგილი პროგრამა, რომელიც აღნიშნული მიმართულების სპეციალისტებს ამზადებს.

დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილი იყო რეაკრედიტაციაზე. პროგრამა ფუნქციონირებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაცია მოხდა 2014 წლის 29 სექტემბერს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ. პროგრამის განხორციელება დაიწყო 2014 წლის ოქტომბრიდან (2014-2015 სასწავლო წელი). წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, მაგისტრი მომზადების ნორმატიული ვადაა 2 წელი ანუ 4 სემესტრი. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS კრედიტი. საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებს ეთმობა 70 ECTS კრედიტი, რაშიც შედის ასევე 10 ECTS კრედიტიანი პრაქტიკა. სპეციალობის არჩევით კურსებს დათმობილი აქვთ 4 ხუთკრედიტიანი საგანი. სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი. სპეციალობის არჩევითი კურსის 20 ECTS კრედიტის დასაგროვებლად მას ასარჩევად შეთავაზებული აქვს თერთმეტი 5 ECTS კრედიტიანი საგანი (სულ 55 ECTS კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 11 ნოემბერს. ვიზიტამდე, 8 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (მამუკა ნადარეიშვილი, მამუკა არეშიძე, ნიკა ჩიტაძე, გია თოდუა), სადაც 11:00 საათიდან

13:00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშისა და სხვა დოკუმენტაციის განხილვა.

ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

11 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 9:20 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან,
- თვითშეფასების ჯგუფთან,
- პროგრამის ხელმძღვანელთან,
- აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან,
- პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან,
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან,
- დამსაქმებლებთან.

ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფიის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი („საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“) შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ვინაიდან სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი („სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“) შესაბამისობაშია სტანდარტთან, რადგანაც სტანდარტის 2.1-2.6 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

პროგრამის მესამე სტანდარტი („სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა“) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ვინაიდან 3.1 და 3.2 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პროგრამის მეოთხე სტანდარტი („სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც კომპონენტები 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 შესაბამისობაში არიან სტანდარტის მოთხოვნებთან.

პროგრამის მეხუთე სტანდარტი („სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები“) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც 5.1 და 5.2 კომპონენტები შესაბამისობაში არიან სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

პროგრამა აკმაყოფილებს მოთხოვნილი სტანდარტების ყველა კომპონენტს და არ საჭიროებს სავალდებულო რეკომენდაციებს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სპეციალობის, „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებული დღევანდელი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს არიდებს აღნიშნულ პროგრამაში ჩართვაზე (სამივე დონეზე) და ამჯობინებს სხვა სპეციალობების დაუფლებას (მაგ: ბიზნეს ადმინისტრაცია; სამართალმცოდნეობა; საერთაშორისო ურთიერთობები და ა.შ.). ალბათ სასურველი იქნებოდა შესაბამისი საინფორმაციო პოლიტიკის გატარება პროგრამაში უფრო მეტი ახალგაზრდის ჩართვის მიზნით. მაგალითად, ვიზიტი საჯარო და კერძო სკოლების მე-11 და მე-12 კლასებში და ახალგაზრდებისათვის პროგრამის მნიშვნელობის გაცნობა და ა.შ. რათა უფრო მეტ ახალგაზრდას გაუჩნდეს აღნიშნული სპეციალობით ცოდნის დაუფლების სურვილი ჯერ საბაკალავრო, ხოლო შემდგომ სამაგისტრო პროგრამაზე.
  - საგანს, „დემოგრაფიული სტატისტიკა1“ არა აქვს წინაპირობა. საგნის სრულყოფილად ათვისებისთვის სასურველია სტუდენტს ჰქონდეს გარკვეული ცოდნა სტატისტიკის ზოგადი კურსიდან. საგნის სილაბუსში არ არის ზოგადი სტატისტიკის საკითხები. კარგი იქნება საგნის წინაპირობად ჩაიწეროს „აღწერითი სტატისტიკა“, ან სილაბუსში რამდენიმე ლექცია დაეთმოს აღწერითი სტატისტიკის საკითხებს.
  - გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის სახელწოდებაა „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“, ხოლო დემოგრაფიასა და მოსახლეობის გეოგრაფიაში შემავალი საკითხები სამეცნიერო დისციპლინის - საზოგადოებრივი გეოგრაფიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს, შესაძლებელია, რომ განხილულ იქნეს საკითხი, რომ კურსდამთავრებულს მიენიჭოს „სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი გეოგრაფიაში“ ხარისხი.
  - იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ პროგრამის სახელწოდებაა: „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ წარმოდგენილ სილაბუსებსა და სალექციო კურსების მიმდინარეობის პროცესში წმინდა დემოგრაფიულ საკითხებთან ერთად სასურველი იქნებოდა ყურადღება გამახვილებულ ყოფილიყო ისეთ საკითხებზეც, როგორებიცაა მსოფლიო მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა, მსოფლიო მოსახლეობის რასობრივი სტრუქტურა, მსოფლიო მოსახლეობის ლინგვისტური სტრუქტურა, მსოფლიო

მოსახლეობის რელიგიური სტრუტურა, ქვეყნების დაჯგუფება სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით (მშპ ერთ სულ მოსახლეზე, განვითარების ინდექსი და ა.შ.), კონფლიქტების გეოგრაფია.

- კარგი იქნება საგანი „კომპიუტერული პროგრამები დემოგრაფიაში“ გახდეს სავალდებულო.
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესში, მაგალითად სამეცნიერო სტატიებისა და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისას, დემოგრაფიული მიმართულებით საქართველოში არსებული პრობლემატიკის შესწავლასთან ერთად - იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველო აქტიურადაა ჩართული მსოფლიო გლობალურ პროცესებში - მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს დემოგრაფიის და მოსახლეობის მიმართულებით ისეთი გლობალური ხასიათის პრობლემებს, როგორებიცაა გლობალური რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური პრობლემები, კერძოდ: ეთნიკური დაძაბულობა და ეთნოკონფლიქტები; რასიზმი და რასობრივი პრობლემები; რელიგიური პრობლემები და დაპირისპირებები; შოვინიზმის პრობლემები გლობალიზაციის პერიოდში; ეთნოკულტურული იდენტობა და ცივილიზაციათა დაპირისპირება; მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, როგორც გლობალური პრობლემა; ურბანიზაციის და ქალაქების პრობლემები; „ჩრდილოეთ“ – „სამხრეთის“ დაპირისპირება დემოგრაფიულ კონტექსტში; მიგრაციის პრობლემები; მოსახლეობის ტერიტორიული განლაგებისა და განსახლების პრობლემები და ა.შ.
- სტუდენტის პრაქტიკულ-კვლევით საქმიანობაში ჩართვის გაძლიერება და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა.
- იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე, კარგი იქნებოდა მაგისტრანტების მიერ ინგლისური ენის უფრო საფუძვლიანი დაუფლება, რაც სტუდენტებს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ გაეცნონ უფრო მეტ მნიშვნელოვან ლიტერატურას დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის მიმართულებით.
- სასურველია გაკეთდეს სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგებისა და დასკვნების დოკუმენტირება.
- სასურველია, ორიგინალური ან ნათარგმნი ლიტერატურა, რომლებიც ჯერ არ არის გამოცემული და რომელსაც ლექტორები ურიგებენ სტუდენტებს, განთავსებული იყოს ბიბლიოთეკაშიც რიდერების სახით.
- კარგი იქნება თუ კომპიუტერული კლასი შეივსება ახალი, უფრო თანამედროვე კომპიუტერებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - „დემოგრაფიის და მოსახლეობის გეოგრაფიის“ პროგრამა გახლავთ ერთადერთი პროგრამა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში. სწორედ აღნიშნული მიმართულებით აღნიშნული პროგრამა საქართველოში არსებულ სხვა უმაღლესი სასწავლებლებისაგან.
  - პროგრამას გააჩნია საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება. იგი დაკომპლექტებულია საუკეთესო კადრებით დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის მიმართულებით.
  - დემოგრაფიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობით 2016 წელს პარლამენტმა მიიღო „დემოგრაფიული უსაფრთხოების“ დოკუმენტი;
  - დემოგრაფიის მიმართულების პროფესორ/მასწავლებლები ჩართულნი არიან პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით მოქმედ მოსახლეობის განვითარების პროგრამაში;

- დემოგრაფიის მიმართულების პროფესორ/მასწავლებელთა აქტიური ძალისხმევის შედეგად, საქართველოს უზენაეს კანონში - ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა შემდეგი ტექსტი: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე“.
- პროგრამის ფარგლებში დიდი დრო ეთმობა სტუდენტების დამოუკიდებელ კვლევით საქმიანობას, რომელის ერთ-ერთ მაგალითს ცალკეულ სასწავლო პროგრამებში სემესტრული ნაშრომებზე და საბოლოოდ სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობა წარმოადგენს. საბოლოო ჯამში კი ეს ყველაფერი ორიენტირებულია სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა, ასევე ითვალისწინებს პრაქტიკულ სწავლებას, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დემოგრაფიის დეპარტამენტში მემორანდუმის საფუძველზე.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- პროგრამაში ჩართულმა პროფესორ-მასწავლებლებლებმა მონაწილეობა მიიღეს სახელმძღვანელო წიგნის: „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ მომზადებაში;
- გამოქვეყნებულ იქნა რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალი, რომელთა ნაწილი დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის საკითხებს მიეძღვნა;
- დღევანდელ დღეს დემოგრაფიის საკითხებისადმი დაინტერესების შედეგად აღნიშნული სპეციალობის სადოქტორო პროგრამა წამოდგენილია 5 დოქტორანტით;
- დემოგრაფიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობით 2016 წელს პარლამენტმა მიიღო „დემოგრაფიული უსაფრთხოების“ დოკუმენტი;
- დემოგრაფიის მიმართულების პროფესორ/მასწავლებლები ჩართულნი არიან პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით მოქმედ მოსახლეობის განვითარების პროგრამაში;
- დემოგრაფიის მიმართულების პროფესორ/მასწავლებელთა აქტიური ძალისხმევის შედეგად, საქართველოს უზენაეს კანონში - ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა შემდეგი ტექსტი: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე“.
- პროგრამა მემორანდუმის გაფორმების საფუძველზე თანამშრომლობს „დემოგრაფიული აღორძინების ფონდთან“ და „საქსტატთან“. რამდენიმე მაგისტრანტი მივლინებულ იქნა აღნიშნულ ორგანიზაციებში პრაქტიკის გასავლელად.
- წინა აკრედიტაციის პერიოდიდან დღემდე განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დღევანდელ ეტაპზე კურსდამთავრებულმა მაგისტრებმა საკუთარი კვალიფიკაცია აიმაღლეს დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების, ამოცანებზე, პარადიგმებზე, დემოგრაფიულ თეორიებზე, რაც საშუალებას აძლევს სისტემურად გაანალიზონ დემოგრაფიული პრობლემები, გამომწვევი მიზეზები და განსაზღვრონ მოსალოდნელი შედეგები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს განათლება დემოგრაფიაში, შესძინოს მრავალმხრივი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამეცნიერო კვლევების ჩატარების თეორიულ-პრაქტიკული საბაზისო ცოდნა, შესძინოს მას შემოქმედებითად მუშაობის უნარი, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები რომლებსაც შეეძლებათ: დემოგრაფიულ მეცნიერებათა ძირითადი თეორიების, დებულებებისა და კანონების სისტემური ანალიზი და მათზე დაყრდნობით სოციოლოგიური კვლევების ჩატარება; მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების თავისებურებების განსაზღვრა დინამიკაში, როგორც მსოფლიოში, ასევე რეგიონულ და ცალკეული ქვეყნების ჭრილში; მიგრაციული პროცესების (მათ შორის კავკასიის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ) სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული ასპექტების გამოვლენა და ანალიზი; დემოგრაფიის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სფეროებთან ურთიერთკავშირის განსაზღვრა; მიღებული ცოდნით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა და ცოდნის გაცვლა-გავრცელება სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ ნაწილში. რადგან დღევანდელ მსოფლიოში დემოგრაფია და მიგრაციული პროცესები სახელმწიფო უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია, პროგრამის ავტორების მიზანია მაგისტრანტებისთვის ისეთი ცოდნის მიცემა რაც საბოლოო ჯამში მათ საშუალებას მისცემს დასაქმებულნი იქნენ არა მხოლოდ ვიწრო სამეცნიერო სფეროში არამედ თავისუფლად შეეძლოთ ორიენტირება უსაფრთხოების სისტემებში.

იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ საქართველოში შექმნილია საგანგაშო დემოგრაფიული ვითარება, რომელიც შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნისთვის, რაზედაც მოწმობს ბოლო წლებში გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით მტკიცდება, რომ საქართველოში მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება და ასობით ათასი ქართველი ტოვებს სამშობლოს. მარტო 2012-2018 წლებში ქვეყანა დატოვა დაახლოებით 500.000 კაცმა. ბოლო ათწლეულებში სულ საქართველოდან წავიდა დაახლოებით 1.800.000 ადამიანი, სამაგისტრო პროგრამას „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ აღნიშნულ სფეროში შესაბამისი სპეციალისტების მომზადების საქმეში უდიდესი როლი ენიჭება. აღნიშნული მიმართულებით საქართველოში არსებული ერთადერთი პროგრამის მიზანს წარმოადგენს ჩამოუყალიბოს მომავალ მაგისტრებს ცოდნა გლობალურ დონეზე დემოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი დისციპლინის როლისა და მნიშვნელობის - მეცნიერებათა სისტემაში მისი ადგილის, აღნიშნული მიმართულების ფარგლებში მისი ძირითადი კვლევისა და ობიექტის შესახებ. პროგრამის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილ სილაბუსებში ნათლად ჩანს, რომ პროფესორ-მასწავლებელთა ძირითადი მიზანია ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ჩამოულიყალიბოს დემოგრაფიულ მეცნიერებათა ძირითადი ცნებების, კანონების, დებულებებისა და თეორიების შესახებ, ასევე, შეასწავლოს ისეთი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები, როგორებიც გახლავთ საქართველოში არსებული დემოგრაფიული ვითარება, კაცობრიობის დემოგრაფიული ისტორია, მოსახლეობის აღწარმოების ტიპები, დემოგრაფიული გადასვლის თეორია და ფაზები, დემოგრაფიული აფეთქება და პოლიტიკა, მიგრაციული პროცესები და ა.შ.

პროგრამის მიზნები რეალისტურია და მიღწევადი. ამის საფუძველს ქმნის პროგრამაში ჩადებული ინოვაციური მიდგომები რაც გულისხმობს სწავლების სივრცის გაფართოებას, მონათესავე დისციპლინებიდან საჭირო სეგმენტების გამოყენებას და საბოლოო ჯამში ორიენტირებულია სპეციალისტზე რომელსაც აქვს ღრმა განათლება კონკრეტულ სფეროში და ამავე დროს აღჭურვილია შესაბამისი ცოდნით რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის.

პროგრამა ცოდნას აძლევს მაგისტრანტს არამხოლოდ ქვეყნის არამედ მსოფლიოს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონის, კავკასიის დემოგრაფიული და მიგრაციული პრობლემების შესახებ რაც ქმნის ამ მიმართულების რეგიონალური ცენტრის შექმნის პერსპექტივას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- თსუ-ს სტრატეგიული კვლევების ცენტრის ჩამოყალიბება, მისი პროგრამა და გეგმა;
- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა უნივერსიტეტის ხედვასა და მისიას. სწავლების შედეგები მკაფიოდაა განსაზღვრული და წარმოადგენს პროგრამის მიზნის ოპერაციონალიზაციას. პროგრამის სასწავლო კომპონენტში ჩართული თითოეული კურსი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რაც გამოიხატება ცოდნისა და უნარების მაღალი ხარისხის მისაღწევად სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის ეფექტურ განსაზღვრაში.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიღებული ცოდნის შედეგად შეძლებს: სიღრმისეულად აღწეროს დემოგრაფიის ფუნდამენტური კონცეფციები, სისტემურად გააანალიზოს დემოგრაფიული თეორიები, ამოცანები, პარადიგმები და სხვა პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და განსაზღვროს შესაძლო შედეგები; კრიტიკულად დაამუშაოს დემოგრაფიული მაჩვენებლები სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით და მათ საფუძველზე მოახდინოს დემოგრაფიული ინტენსივობის დადგენა, პროგნოზების გაკეთება; გამოიყენოს დემოგრაფიული თეორიების სხვადასხვა ასპექტისთვის მისადაგება/გამოყენება თანამედროვე დემოგრაფიულ პრობლემებთან მიმართებაში; დამოუკიდებლად განახორციელოს დემოგრაფიული მაჩვენებლების დამუშავება და ანალიზი კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით; საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსების დემოგრაფიული განვითარების ისტორიული, გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური შედარებითი ანალიზის დემონსტრირება და მათი გამომწვევი მიზეზებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა; წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები სხვადასხვა ქვეყნების მიერ გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის, საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებასა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ოპტიმალური პოლიტიკის შესამუშავებლად;

საქართველოში არსებობს, როგორც სახელმწიფო (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურები, სამეცნიერო დაწესებულებები), ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც სჭირდებათ დემოგრაფიის, განსაკუთრებით კი რეგიონული დემოგრაფიისა და მიგრაციის სპეციალისტები, რათა პროფესიულად შეისწავლონ, გააანალიზონ და დაგეგმონ მოსახლეობის განვითარების, მათ შორის სულ უფრო მზარდი მიგრაციული პროცესები. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას შეუძლია

20 სტუდენტს გაუწიოს მომსახურეობა კურსდამთავრებულები შეძლებენ აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესწავლილი დოკუმენტაციისა და პროგრამის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამა "დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია" უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართვის მსურველთა პროგრამაში დაშვებას გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობების და პროცედურების საფუძველზე. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა გახლავთ სტანდარტებთან შესაბამისი. პროგრამაზე მიღებისათვის საჭიროა, ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის ხარისხი, ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდაში გამსვლელი ქულის მიღება, წერითი გამოცდა სპეციალობაში, მიმღებ კომისიასთან გასაუბრება სპეციალობასა და ინგლისურ ენაში - B1 დონეზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუების შედეგები; • თსუ-ს მისია https://www.tsu.ge/data/file_db/PR/2017-2021.pdf; • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება https://www.tsu.ge/data/file_db/sajaro/07matsne-2014505-6.pdf

- ფაკულტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/strategia%20.pdf

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იქნებოდა უფრო მეტი ლიტერატურის არსებობა ქართულ ენაზე, რომელიც მომზადებული იქნებოდა ქართველი სპეციალისტების მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამას გააჩნია საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება. იგი დაკომპლექტებულია საუკთესო კადრებით დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის მიმართულებით.
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამამ მაქსიმალურად გაითვალისწინა უსდ-ის ფარგლებში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. პროგრამაში ძირითადად გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და სწავლის შედეგები.

მოცემული პროგრამის თითოეული სალექციო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი მნიშვნელოვანწილად შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან. კრედიტების რაოდენობა - 120 კრედიტი შეესაბამება საქართველოში არსებულ სტანდარტებს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საფუძველზე.

საერთო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც შემდეგნაირადაა განაწილებული: სავალდებულო კურსები - 70 კრედიტი, რაშიც იგულისხმება 10 ECTS კრედიტიანი პრაქტიკა. სპეციალობის არჩევით კურსები - 20 კრედიტი. სამაგისტრო ნაშრომი - 30. სპეციალობის არჩევითი კურსის 20 კრედიტის დასაგროვებლად სტუდენტს ასარჩევად შეთავაზებული აქვს 5 ECTS კრედიტიანი 11 საგანი.

პროგრამის სტრუქტურა ნათელ წარმოდგენას იძლევა პროგრამის მიმდინარეობის, მათ შორის შესაბამისი სალექციო კურსების წარმოების და პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განხორციელების შესახებ. შესაბამისი საგნების სილაბუსები ნათელ წარმოდგენას იძლევა, თუ რა საკითხები განიხილება სალექციო კურსების მიმდინარეობისას, როგორია სტუდენტების შეფასებისა და სტუდენტების სალექციო პროცესში ჩართულობის დონე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის სახელმწოდებაა „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“, შესაძლებელია, რომ განხილულ იქნეს საკითხი, რომ კურსდამთავრებულს მიენიჭოს „სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი გეოგრაფიაში“ ხარისხი. როგორც უკვე აღინიშნა, დემოგრაფიასა და მოსახლეობის გეოგრაფიაში შემავალი საკითხები სამეცნიერო დისციპლინის - საზოგადოებრივი გეოგრაფიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს, შესაძლებელია, რომ განხილულ იქნეს საკითხი, რომ კურსდამთავრებულს მიენიჭოს „სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი გეოგრაფიაში“ ხარისხი. - თანამედროვე დემოგრაფიული მეთოდების რეალიზაცია წარმოუდგენელია კომპიუტერული პროგრამების გამოყენების გარეშე და მისი გავლა აუცილებელი უნდა იყოს აღნიშნული სასწავლო პროგრამის ყველა სტუდენტისათვის. პროგრამაში წარმოდგენილია საგანი „კომპიუტერული პროგრამები დემოგრაფიაში“ , თუმცა ეს საგანი არის არჩევითი. - იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ პროგრამის სახელწოდებაა: „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ წარმოდგენილ სილაბუსებსა და სალექციო კურსების მიმდინარეობის პროცესში წმინდა დემოგრაფიულ საკითხებთან ერთად ყურადღება უნდა გამახვილებულ იქნეს ისეთ საკითხებზეც, როგორებიცაა მსოფლიო მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა, მსოფლიო მოსახლეობის რასობრივი სტრუქტურა, მსოფლიო მოსახლეობის ლინგვისტური სტრუქტურა, მსოფლიო მოსახლეობის რელიგიური სტრუტურა, ქვეყნების დაჯგუფება სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით (მშპ ერთ სულ მოსახლეზე, განვითარების ინდექსი და ა.შ.), კონფლიქტების გეოგრაფია. - კარგი იქნება საგანი „კომპიუტერული პროგრამები დემოგრაფიაში“ გახდეს სავალდებულო
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პროგრამას გააჩნია საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება. იგი დაკომპლექტებულია საუკეთესო კადრებით დემოგრაფიისა და მოსახლეობნის გეოგრაფიის მიმართულებით. პროგრამის მომზადების ფარგლებში საფუძვლიანი სამუშაოები იყო ჩატარებული როგორც პროგრამის, ასევე ცალკეული სილაბუსების შინაარსის გაუმჯობესების მიზნით. აღსანიშნავია სიახლე, რომელიც პროგრამაში იქნა შეტანილი, კერძოდ, საგანი „აკადემიური წერა“ ჩანაცვლდა „სამაგისტრო ნაშრომის დიზაინით“. აღნიშნული ცვლილების მიზანი გახლდათ სტუდენტების მიერ კვლევის ფარგლებში უფრო სიღრმისეული ცოდნის მიღების შესაძლებლობა. პროგრამის დახვეწის მიზნით ცვლილებები შეტანილ იქნა სილაბუსებში,

ლიტერატურის სიაში ახალი სამეცნიერო წყაროები იქნა წარმოდგენილი ხოლო თსუ-ს ბიბლიოთეკას ახალი შესაბამისი მასალები მიეწოდა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- მოცემული პროგრამის თითოეული სალექციო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი მნიშვნელოვანწილად შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში შეტანილი საგნებიდან 70 კრედიტი სავალდებულოა, 20 არჩევითი და 30 ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს(კვლევით კომპონენტს). სილაბუსებში არსებული ძირითადი ლიტერატურის მოძიება შესაძლებელია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
- პროგრამის მიზანი და შედეგები წარმოდგენილის სტანდარტების შესაბამისად. სწავლის შედეგები დღეს არსებული მოთხოვნების საფუძველზე სამ კომპონენტადაა წარმოდგენილი (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობა), ასევე წარმოდგენილია მიზნების და

სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სასწავლო კურსის და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. პროგრამის მიერ წარმოდგენილია 25 სილაბუსი, ასევე ფაკულტეტის მიერ პროგრამისთვის შემუშავებული ბიუჯეტი, პროფესორ/მასწავლებელთა აკადემიური ბიოგრაფია და სხვა შესაბამისი მასალა, რაც დასტურდება შესაბამისი საბუთებით, ხელშეკრულებებითა და მემორანდუმებით. ○ ამასთანავე, სილაბუსების გაცნობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს ქართულ ენაზე ლიტერატურის ნაკლებობა. მაგალითად, ქართულ ენაზე დემოგრაფიის მიმართულებით ერთ-ერთ მთავარ ლიტერატურულ წყაროს წარმოადგენს პროფ. ბორისოვის წიგნი, რომელიც რუსულიდან ქართულ ენაზეა თარგმნილი. ○ საგანს, „დემოგრაფიული სტატისტიკა1“ არა აქვს წინაპრობა. საგნის სრულყოფილად ათვისებისთვის აუცილებელია გარკვეული ცოდნა სტატისტიკის ზოგადი კურსიდან. საგნის სილაბუსში არ არის ზოგადი სტატისტიკის საკითხები. საგნის წინაპირობად უნდა ჩაიწეროს „აღწერითი სტატისტიკა“, ან სილაბუსში რამდენიმე ლექცია უნდა დაეთმოს აღწერითი სტატისტიკის საკითხებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუების შედეგები; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის კარგი იქნებოდა სხვადასხვა სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში წარმოდგენილ იქნეს უფრო მეტი წიგნი ქართულ ენაზე
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ძალისხმევა მიმართულია სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკულ, სამეცნიერო/კვლევით და სხვა სხვა საგანმანათლებლო პროექტებში ჩართვისკენ. იმ მემორანდუმების საფუძველზე, რომელიც პროგრამას სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებთან თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გააჩნია, მაგისტრანტებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღო პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის დაწესებულებებში. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ დასაქმებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუების შედეგები; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესში, მაგალითად სამეცნიერო სტატიებისა და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისას, დემოგრაფიული მიმართულებით საქართველოში არსებული პრობლემატიკის შესწავლასთან ერთად - იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს აქტიურადაა ჩართული მსოფლიო გლობალურ პროცესებში - მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს დემოგრაფიის და მოსახლეობის მიმართულებით ისეთი გლობალური ხასიათის პრობლემებს, როგორებიცაა გლობალური რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური პრობლემები, კერძოდ: ეთნიკური დაძაბულობა და ეთნოკონფლიქტები; რასიზმი და რასობრივი პროგლემები; რელიგიური პრობლემები და დაპირისპირებები; შოვინიზმის პრობლემები გლობალიზაციის პერიოდში; ეთნოკულტურული იდენტობა და ცივილიზაცათა დაპირისპირება; მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, როგორც გლობალური პრობლემა; ურბანიზაციის და ქალაქების პრობლემები; „ჩრდილოეთ“ – „სამხრეთის“ დაპირისპირება დემოგრაფიულ კონტექსტში; მიგრაციის პრობლემები; მოსახლეობის ტერიტორიული განლაგებისა და განსახლების პრობლემები და ა.შ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

გარდა ამისა, 4-მა მაგისტრანტმა დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, რომლის მიზანს კონფერენციებში მონაწილეობა და სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება წარმოადგენდა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით სტუდენტზეა ორიენტირებული. პროგრამა აკმაყოფილებს მაგისტრატურის საფეხურის სტანდარტებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ პროგრამას მემორანდუმების საფუძველზე სხვადასხვა ორგანიზაციასთან გააჩნია თანამშრომლობის შესაბამისი პრაქტიკა, კარგი იქნებოდა რომ სტუდენტებისთვის გაწეულ ყოფილიყო რეკომენდაციები კონკრეტულ ორგანიზაციებში მიღების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამის ფარგლებში დიდი დრო ეთმობა სტუდენტების დამოუკიდებელ კვლევით საქმიანობას, რომელის ერთ-ერთ მაგალითს ცალკეულ სასწავლო პროგრამებში სემესტრული ნაშრომებზე და საბოლოოდ სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობა წარმოადგენს. საბოლოო ჯამში კი ეს ყველაფერი ორიენტირებულია სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა, ასევე ითვალისწინებს პრაქტიკულ სწავლებას, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დემოგრაფიის დეპარტამენტში მემორანდუმის საფუძველზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება მოცემული კანონმდებლობისა და სტარდარტების შესაბამისად ხორციელდება, რაც აღნიშნული პროცესის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა)ლექციებზე დასწრება/აქტიურობას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ)დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ)გამოცდების მომზადება–ჩაბარებას; დ)დამოუკიდებელ კვლევით საქმიანობას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

1. ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

2. ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. შეფასების ფარგლებში, მოთხოვნის შემთხვევაში სტუდენტს წარედგინება ნაშრომი, სადაც

აღწერილი იქნება ის ძირითადი მიზეზები, თუ რატომ ვერ გადალახა მაგისტრანმა კონკრეტული ბარიერი
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“, https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/rrub// ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუების შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მისაღების გამოცდების ფარგლებში **ქულების განაწილების კომპონენტები:** გამოცდა სპეციალობაში - 40% გასაუბრება სპეციალობაში-30% გასაუბრება ინგლისურ ენაში - 30%
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, სასწავლო პერსონალსა და სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ, თვალსაჩინო გახდა, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის დაგეგვაში, ხდება მათი პოზიციებისა და ინიციატივების გათვალისწინება სხვადასხვა საკითში, მაგალითად, კონკრეტული საგნის დამატება პროგრამაში. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ წელიწადში რამდენიმეჯერ ფაკულტეტისა და პროგრამის წარმომადგენლები მართავენ შეხვედრებს აღნიშნული სტუდენტებთან, რის შედეგადაც ხდება სტუდენტების ინფორმირება პროგრამაში მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების შესახებ, ასევე მათი პოზიციებისა და რეკომენდაციების მოსმენა/გათვალისწინება პროგრამასთან მიმართებით. ყველა ლექტორი ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის, იმ შემთხვევაში, თუკი გაჩნდება ლექტორთან კონსულტაციის აუცილებლობა. გარდა იმისა, რომ ლექტორები უშუალოდ უწევენ კონსულტაციას თავიან სტუდენტებს, ასევე, ეს შესაძლებელია შესაძლებელია დისტანციურად, რაც სტუდენტისთვის ამარტივებს პროცესს - სწრაფად და კვალიფიციურად მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. სტუდენტებთან ჩატარებული

გასაუბრების შემდეგ ირკვევა, რომ ყველა ლექტორს, კვირაში ერთხელ, ჩანიშნული აქვს კონსულტაციის დრო და ადგილი, სადაც ისინი ხვდებიან სტუდენტებს და მზად არიან მათგან მოისმინონ დადებითი ან უარყოფითი პოზიციები. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულმა სტუდენტმა იცის ნებისმიერი საგნის ლექტორთან საკონსულტაციო დროისა და ადგილის შესახებ, რამდენიმე სილაბუსში ეს პუნქტი აღნიშნული არ იყო. დადებით ფაქტად უნდა აღინიშნოს ის, რომ სტუდენტებს დიდი მხარდაჭერა გააჩნიათ ლექტორებიდან კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ლექტორის მიერ სტუდენტები ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა კვლევით საქმიანობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ შეხვედრა ფაკულტეტის დეკანთან ▪ შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ პერსონალთან ▪ გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სპეციალობის, „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებული დღევანდელი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს არიდებს აღნიშნულ პროგრამაში ჩართვაზე (სამივე დონეზე) და ამჯობინებს სხვა სპეციალობების დაუფლებას (მაგ: ბიზნეს ადმინისტრაცია; სამართალმცოდნეობა; საერთაშორისო ურთიერთობები და ა.შ.). ალბათ სასურველი იქნებოდა შესაბამისი საინფომაციო პოლიტიკის გატარება პროგრამაში უფრო მეტი ახალგაზრდის ჩართვის მიზნით. მაგალითად, ვიზიტი საჯარო და კერძო სკოლების მე-11 და მე-12 კლასებში და ახალგაზრდებისათვის პროგრამის მნიშვნელობის გაცნობა და ა.შ. რათა უფრო მეტ ახალგაზრდას გაუჩნდეს აღნიშნული სპეციალობით ცოდნის დაუფლების სურვილი ჯერ საბაკალავრო, ხოლო შემდგომ სამაგისტრო პროგრამაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მოცემული პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ ძალიან კვლალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებსაც ამ დარგში წლების გამოცდილება გააჩნიათ. სტუდენტებთან გასაუბრების შემდგომ თვალსაჩინო გახდა, რომ ნაშრომზე მუშაობის პროცესში ისინი საჭირო და სათანადო მხარდაჭერას იღებენ თავიანთი ხელმძღვანელებიდან, რაც გამოიხატება შემდეგი ფაქტორების მიხედვით: ხელმძღვანელები არიან კვალიფიციურნი, სტუდენტს აქვს აქტიური კომუნიკაცია ხელმძღვანელთან თემაზე მუშაობის პროცესში და მასთან კომუნიკაცია/კონსულტაცია არ წარმოადგენს პრობლემას, ეს ხდება როგორც უშუალო შეხვედრების, ასევე დისტანციური კომუნიკაციის ფორმატში, საჭიროების შემთხვევაში ლექტორი აწვდის ან ეხმარება სათანადო ლიტერატურის მოძიებაში, რომელიც სტუდენტისთვის აუცილებელია თავის თემაზე მუშაობის პროცესში. ხელმძღვანელისა და სტუდენტის მუშაობის ხარისხზე მეტყველებს ის სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც დაიწერა ამ პროგრამის კურსდამთავრებული სტუდენტების მიერ (არჩეული თემები, გამართული სტრუქტურა, გამოყენებული და დამუშავებული ლიტერატურა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაზე მოღვაწე პროფესორებთან შეხვედრა და მათი დოსიეების გაცნობა
- დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება
- პროგრამის ფარგლებში არსებული სამაგისტრო ნაშრომების გაცნობა

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ოთხმა მაგისტრანტმა დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, რომლის მიზანს კონფერენციებში მონაწილეობა და სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება წარმოადგენდა. ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და უმაღლეს საგანგამანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ მაგისტრატურის პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 11 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 8 აფილირებული აკადემიური (აფილირებული პროფესორი - 1, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 5, ასისტენტ პროფესორი - 2) და 3 მოწვეული ლექტორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამა უზრუნველყოფილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემით, რომელიც მოიცავს სასწავლო და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (8 აკადემიური/3 მოწვეული) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში. ასევე, მონაწილეობს დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში (კონფერენცია, სემინარი, ვორქშოპი, გაცვლითი პროგრამები, ტრენინგი და ა.შ.).

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი გამოცდილება, და სამეცნიერო ნაშრომები. იგი არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დემოგრაფიის მიმართულებით). 2018 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად (დემოგრაფიის დარგში). ამასთან ერთად, არის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული დემოგრაფიული უსაფრთხოების ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთი ინიციატორი და ავტორი (2016). 1998 წლიდან კი, არის საქართველოს დემოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი. წარმოდგენილი პროგრამის ხელმძღვანელი არის ათეულობით სამეცნიერო სტატიის, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაკომპლექტებულია კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის ხელშეწყობას სასწავლო პროცესის მსვლელობისას. საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის სწავლის, სწავლებისა და კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნას ემსახურება ფაკულტეტის შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რესურსების მართვის სამსახური, ბიბლიოთეკა, კანცელარია, პრეპრინტის ლაბორატორია. მათი საქმიანობის სფერო, მიზნები და ძირითადი ფუნქციები რეგულირდება ფაკულტეტის დებულებით და უნივერსიტეტის წესდებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფაკულტეტის დებულება; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის CV; • ვებ-გვერდი https://www.tsu.ge/ • ინტერვიუები; • პერსონალის პირადი საქმეები;
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
აღწერა და შეფასება თსუ-ში დანერგილია აკადემიური პერსონალის შეფასების ყოველ სემესტრული ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტთა მიერ მათი საქმიანობის შეფასება მიეწოდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი ერთეულის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ დაინერგა ფოკუს ჯგუფები და

პერმანენტულად ტარდება პერსონალის გამოკითხვა, რათა მიღებულ იქნას მათი პროფესიული გადამზადებისა და განვითარებისათვის საჭირო ინფორმაცია. განხორციელებული შეფასების საფუძველზე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაცია ახორციელებს გარკვეულ პროექტებსა და პროგრამებს (საზაფხულო სკოლები, სწავლებისა და კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული სემინარები, საუკეთესო უცხოური გამოცდილების გაზიარებისათვის მრგვალი მაგიდები და ტრენინგები და ა.შ). ფაკულტეტის ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო კონფერენციები აკადემიური პერსონალისათვის. აკადემიური პერსონალისათვის პუბლიკაციების მომზადების უახლესი მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით საზაფხულო სემინარები და მრგვალი მაგიდები და ა.შ. საერთაშორისო თანამშრომლობის გასაზრდელად და საზღვარგარეთ კონფერენციებში მონაწილეობის მიღების მიზნით ფაკულტეტი პროფესორებისათვის გამოყოფს შესაბამის ფონდს, რომლის გამოყენებითაც მათ შეუძლიათ დაიფინანსონ აკადემიური და კვლევითი ვიზიტები მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და სხვა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული ორი პროექტი: (1) მიზნობრივი კვლევითი პროექტების კონკურსი სტუდენტებისა და პროფესორების ერთობლივად მონაწილეობის აუცილებელი პირობით (2) სახელმძღვანელოების კონკურსი საფაკულტეტო სასწავლო კურსებისთვის (აუცილებელი პირობა - სახელმძღვანელოს შინაარსის სილაბუსთან შესაბამისობა; შესაბამისი ქართულენოვანი სახელმძღვანელოს არარსებობა ან შინაარსის ექსკლუზიურობა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის მართვის სამსახურის ტანამშრომლებთან, • ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან • თვითშეფასების ანგარიში • თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა https://www.tsu.ge/data/file_db/PR/2017-2021.pdf; • თსუ ვებ-გვერდი https://www.tsu.ge
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია გაკეთდეს სტუდენტების გამოკითხვის შედეგების უფრო ღრმა ანალიზი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ სტუდენტებს და თანამშრომლებს აქვთ წვდომა ელექტროულ რესურსებზე და მონაცემთა ბაზებზე, მათ შორის უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაზე,პუბლიკაციებზე (Elsevier SCOPUS, Elsevier ScienceDirect, EBSCOHost, JSTOR). შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული საძიებო კატალოგით და სხვა ონლაინ მომსახურებით. პროგრამის სტუდენტები სარგებლობენ ფაკულტეტის აუდიტორიებითა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებით, რომლებიც განთავსებულია პირველ და მეოთხე კორპუსებში, აღჭურვილია პროექტორით, კომპიუტერებით და სხვა საჭირო ტექნიკით.

კომპიუტერულ კლასში არის სტუდენტებისათვის განკუთვნილი 7 კომპიუტერი, რაც სტუდენტთა არსებული რაოდენობის გათვალისწინებით, დღევანდელ პირობებში საკმარისია. თუმცა, თუ მომავალში პროგრამა სრულად დაკომპლექტდება ეს რაოდენობა საკმარისი არ იქნება. რამდენადაც ჩვენთვის პერსონალთან გასაუბრებით გახდა ცნობილი, ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია ნაბიჯები და შეძენილია ახალი კომპიუტერები. პროგრამის ყველა კურსის სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა ძირითადად განთავსებულია თსუ პირველი კორპუსის სამკითხველო დარბაზში. კომისიის მიერ გადამოწმებულ იქნა პროგრამის ძირითად ლიტერატურად მითითებული რამდენიმე სახელმძღვანელოს არსებობა ბიბლიოთეკაში. ყველა მათგანი აღმოჩნდა ადგილზე. იმ შემთხვევაში, თუ ნათარგმნი ან ორიგინალური სახელმძღვანელო ჯერ კიდევ არ არის გამოცემული, პედაგოგები გადასცემენ მათ სტუდენტებს ელექტრონული ან ნაბეჭდი სახით. პროგრამის სტუდენტები და პედაგოგები სარგებლობენ ელექტრონული სწავლების პორტალით http://e-learning.tsu.ge/, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალე და ეფექტურ კომუნიკაციას ლექტორსა და სტუდენტებს შორის. ეს სისტემა ასევე აღჭურვილია პლაგიატიზმის გამოვლენის შესაძლებლობით (სოფტი turnitin), რაც უზრუნველყოფს ყველა წერითი დავალების შემოწმებას პლაგიატიზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიბლიოთეკის რესურსები, კატალოგი, https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/ • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება; • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; • სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, ორიგინალური ან ნათარგმნი ლიტერატურა, რომლებიც ჯერ არ არის გამოცემული და რომელსაც ლექტორები ურიგებენ სტუდენტებს, განთავსებული იყოს ბიბლიოთეკაშიც რიდერების სახით.

- კარგი იქნება თუ კომპიუტერული კლასი შეივსება ახალი, უფრო თანამედროვე კომპიუტერებით

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ყოველწლიურად საფაკულტეტო ბიუჯეტის შედგენისას ხდება თითოეული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო თანხების გათვალისწინება. ფაკულტეტის დეკანმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ეს პროგრამა ფაკულტეტისათვის ერთ-ერთი

პრიორიტეტულია და ბიუჯეტის დაგეგმვისას ცდილობენ მაქსიმალურად გაითვალისწინონ პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფა. ბიუჯეტი უზრუნველყოფს: პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შენახვასა დასრულყოფას. ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია: აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები, წიგნადი ფონდის განახლების ხარჯი, გამომცემლობითი ხარჯები და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თსუ-ის და ფაკულტეტის ბიუჯეტი. ვებ.გვერდზე: www.tsu.ge ○ ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტი, ○ ინტერვიუ ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება პრინციპს: "დაგეგმე - განახორციელე- შეამოწმე - განავითარე", რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: 1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება 2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით 3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.) 4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება. პროგრამის შემუშავების პროცესი ემყარება კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი ინფორმაციის ანალიზს. პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი არიან: აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები, დარგის სპეციალისტები, დამსაქმებლები და სტუდენტები (მიმართულების კომიტეტი და თვითშეფასების ჯგუფი).

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ახდენს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით, საგანგებოდ შემუშავებული და დამტკიცებული ფორმებისა და კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით.

პროგრამის დამტკიცება ხდება ეტაპობრივად: 1) პირველ ეტაპზე პროგრამა განიხილება შესაბამისი მიმართულების კომიტეტის სხდომაზე; 2) მეორე ეტაპზე პროგრამა მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე. საბჭოზე წარდგნისას პროგრამას თან ახლავას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა. 3) მესამე ეტაპზე პროგრამა გადის თსუ აკადემიურ საბჭოზე.

თსუ–ის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება მიმდინარეობს პირდაპირი და არაპირდაპირი ინდიკატორების გამოყენებით, რომელთა ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე მუშავდება პროგრამის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

პროგრამის განხორციელების ყოველწლიური შეფასების შედეგად თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება პროგრამების ხელმძღვანელებს, ფაკულტეტების საბჭოებს და აკადემიურ საბჭოს.

პროგრამის განვითარებაში ასევე ჩართული არიან პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის აფილირებული და მოწვეული პროფესორები.

სასწავლო კურსების შესაფასებლად თსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულია სტუდენტური გამოკითხვები, რომელიც ყოველ სემესტრულად ელექტრონულად ტარდება სტუდენტთა სასწავლო ბაზაში lms.tsu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ აკადემიური საბჭოსდადგენილება №153/2017 (8 დეკემბერი, 2017)
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის კონტროლის ჯგუფთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და პერსონალთან

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე შემფასებელი არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, დამოუკიდებელი ექსპერტი, კოლეგა, უცხოელი სპეციალისტი. პროგრამის სრულყოფა ხდება ცენტრის ექსპერტების დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე. წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით გარე ექსპერტს შენიშვნები არ ჰქონია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პროგრამის გარე შეფასების მექანიზმების გასაუმჯობესებლად შეძლებისდაგვარად ქართველ ექსპერტთან ერთად მოხდეს უცხოელი ექსპერტის ჩართვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამების განხორციელების შეფასებას ახდენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ხარისხის სამსახურთან ერთად პროგრამის ხარისხის მონიტორინგს, შეფასებასა და გაუმჯობესებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი და თვითშეფასების ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში იმართება დისკუსიები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები, პროგრამის კურსდამთავრებულები და სხვა; ასევე, სპეციალურად შემუშავებული კითხვარით ტარდება სტუდენტების გამოკითხვაც და შედეგების ანალიზის საფუძველზე მზადდება რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. ამგვარი მონიტორინგის და პროგრამის განვითარების სისტემის მოქმედების შედეგად პროგრამაში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. კერძოდ,

- პროგრამაში შევიდა ახალი სავალდებულო საგანი „ქვეყნის შიდა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარება.“ ამასთან, სავალდებულო საგანთა ნუსხიდან, არჩევით საგანთა ნუსხაში გადავიდა „განვითარების გეოგრაფია“.
- პროგრამას დაემატა ახალი არჩევითი კურსი „კომპიუტერული პროგრამები დემოგრაფიაში“.
- პროგრამას დაემატა ახალი არჩევითი კურსი „განვითარება და სოციალური პოლიტიკა“.
- პროგრამიდან ამოღებული იქნა არჩევითი სასწავლო კურსი „მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია“.

კარგი იქნება, თუ მოხდება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება #67/2018, 19 თებერვალი, 2018. ,,სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია გაკეთდეს სტუდენტების გამოკითხვის შედეგების უფრო ღრმა ანალიზი. მაგალითად, სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგენილ იქნეს პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები და შემუშავებულ იქნეს შესაბამისი რეკომენდაციები პროგრამის შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მამუკა ნადარეიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მამუკა არეშიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნიკა ჩიტაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა გია თოდუა